



გალტი & თავართი

მშენიშნობის მსახურები

# ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

9 იანვარი 2024

## ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | [evabochorishvili@gt.ge](mailto:evabochorishvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.8036

## კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების ხელმძღვანელი | [ksamkurashvili@gt.ge](mailto:ksamkurashvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.4298

## სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | [s.kurashvili@gt.ge](mailto:s.kurashvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.3654



## ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2023 წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება 2021 წლის იანვრიდან დღემდე
<b>ამონიუმის ნიტრატი</b> აშშ დოლარი/ტონა	180.0	+1.4%	-52.0%	
<b>ნავთობი (brent)</b> აშშ დოლარი/ბარელი	77.0	-7.0%	-10.3%	
<b>სპილენძი</b> აშშ დოლარი/ტონა	8,463.9	+0.9%	+1.2%	
<b>ფეროსილიკონი (ჩინეთი)</b> აშშ დოლარი/ტონა	1,335.0	0.0%	-18.8%	
<b>ფეროსილიკონი (ევროპა)</b> აშშ დოლარი/ტონა	1,383.0	+3.2%	-30.2%	
<b>ოქრო</b> აშშ დოლარი/უნცია	2,063.0	+1.3%	+13.1%	
<b>ბუნებრივი აირი</b> აშშ დოლარი/მვტ სთ	32.2	-29.7%	-54.5%	
<b>ხორბალი</b> აშშ დოლარი/ტონა	262.3	+2.6%	-7.1%	

წყარო: ბლუმბერგი

\*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



# ენერჯეტიკა

## ნავთობი

2023 წლის დეკემბერში ნავთობის ფასი თვიურად 7.0%-ით შემცირდა, ხოლო წლიურად 10.3%-იანი კლება დაფიქსირდა. წითელ ზღვაში მიმდინარე მოვლენებს ნედლეულის ფასზე თავდაპირველად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა - იემენელი ჰუსიტების თავდასხმების გამო, ბევრმა გადამზიდავმა სუეცის არხის გამოყენებაზე უარი თქვა, რის გამოც ხომალდებს აფრიკის კონტინენტის შემოვლა უნებო. მიუხედავად წითელ ზღვასა და ზოგადად ახლო აღმოსავლეთში არსებული დაძაბულობისა, ნავთობის ფასები მცირედ კლებას განაგრძობს, რისი მიზეზიცაა ამერიკული ნავთობის მოსალოდნელზე ბევრად მაღალი ექსპორტი. წამყვანმა საინვესტიციო ბანკებმა ნავთობის ფასების მოლოდინი შეამცირეს, რაც OPEC+-ის გარდა სხვა მწარმოებლების გააქტიურებას მოჰყვა (განსაკუთრებით აშშ). ხუთი წამყვანი საინვესტიციო ბანკის საშუალო პროგნოზი ბარელზე 81 აშშ დოლარს შეადგენს 2024 წლისთვის.

## ბუნებრივი აირი


2023 წლის დეკემბერში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 29.7%-ით შემცირდა, ხოლო წლიურად 54.5%-იანი კლება დაფიქსირდა. ნავთობის მსგავსად, ბუნებრივი აირის ფასი ჰუსიტების თავდასხმების შემდეგ დროებით გაიზარდა. დამატებით, აირშიდი ტანკერების ნაწილმა წითელ ზღვაზე თავის ასარიდებლად უფრო გრძელი მარშრუტები აირჩიეს, რამაც დანიშნულების ადგილამდე მისვლა თვეზე მეტი დროით გაზარდა. გარდა ამისა, ევროპაში ამინდი უარესდება, რაც ბუნებრივი აირის მოთხოვნაზე იმოქმედებს. ამის მიუხედავად ფასის მნიშვნელოვანი ზრდა უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი არ არის, რადგან ევროპაში მარაგების მაღალი დონეა (86%).

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მეტ სთ



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 3: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის ღირებულება 19.5%-ით შემცირდა 2023 წლის 11 თვეში, რაც გამოიწვია შედარებით იაფიანი საიმპორტო ბაზრების ათვისებამ.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება 4.6%-ით გაიზარდა 2023 წლის 11 თვეში, რაც განაპირობა როგორც ფასების, ისე მოცულობის ზრდამ, რომელიც 3.4%-ითაა მომატებული 2.7მლნ კუბურ მეტრამდე.

წყარო: საქსტატი



# სოფლის მეურნეობა


## ამონიუმის ნიტრატი

2023 წლის დეკემბერში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვიურად 1.4%-ით გაიზარდა, ხოლო წლიურად 52.0%-იანი კლება დაფიქსირდა. მცირე ზრდა თანხვედრაშია ჩვენს წინა მიმოხილვაში გაკეთებულ პროგნოზთან, რომლის თანახმადაც ზამთარში სასუქების ფასი მეტნაკლებად სტაბილური იქნებოდა. ამასთან, ამონიუმის ნიტრატის წარმოების მთავარი კომპონენტის - ბუნებრივი აირის ფასის ზრდა შემცირდა (რაც მოსალოდნელია გაგრძელდეს, თუ ახლო აღმოსავლეთში ესკალაცია არ მოხდა). მეორეს მხრივ, ჩინეთი ექსპორტის ნაკვალავს, კვლავ საკუთარი მარაგების შევსებაზე ორიენტირებული, ხოლო ბრაზილიაში ცხელი ამინდების გამო ნაადრევად დაიწყო სიმინდის თესვის სეზონი, რაც სასუქების ფასებზე დადებითად იმოქმედებს.

## ხორბალი

2023 წლის დეკემბერში ხორბლის ფასი თვიურად 2.6%-ით გაიზარდა, ხოლო წლიურად 7.1%-იანი კლება დაფიქსირდა. London Stock Exchange Group-ის (LSEG) მიხედვით, დეკემბერში უკრაინამ 2023 წლის მარტის შემდეგ რეკორდული ოდენობის ხორბალი და სიმინდი გაუშვა ექსპორტზე, მათ შორის აზიის მიმართულებითაც. გაზრდილი მიწოდება შავ ზღვაში უკრაინული მარცვლეულით დატვირთული გემის წყალქვეშა ნაღმთან შეჯახებამ გადაწინა. ამ ამბის ფონზე, ჩიკაგოს ბირჟაზე ხორბლის ფასი 2.1%-ით გაიზარდა. დამატებით, როგორც წინა მიმოხილვაში იყო აღნიშნული, პეკინი 2023 წელს რეკორდული ოდენობის ხორბლის შეძენას გეგმავდა, რამაც აშშ-ს მოსალოდნელზე ნაკლები ადგილობრივი მარაგები დაუტოვა.

გრაფიკი 5: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 7: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 40.9%-ით შემცირდა 2023 წლის 11 თვეში, რაც ფასების მკვეთრ კლებას უკავშირდება. ამასთან, ექსპორტის მოცულობა წლიურად 0.5%-ით გაიზარდა 409,000 ტონამდე.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 6.2%-ითაა შემცირებული 2023 წლის 11 თვეში. ბოლო წლებში საქართველოში ხორბლის იმპორტის ჩანაცვლება ხდება ხორბლის ფქვილის იმპორტით და ადგილობრივი წარმოების ზრდით.

წყარო: საქსტატი



# ლითონები და მადნები

## სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2023 წლის დეკემბერში სპილენძის ფასი თვიურად 0.9%-ით გაიზარდა, ხოლო წლიურად 1.2%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ჩინეთში წარმოების მოსალოდნელებ სწრაფად გამოცოცხლებამ დეკემბერში მოთხოვნა მცირედით გაზარდა. დამატებით, სპილენძი და ლითონი განახლებადი ენერჯის (ელექტრო მანქანების, ელექტრო ქსელებისა და ქარის ტურბინების წარმოებაში) ძირითად წყაროდ რჩებიან, რაც ფასებზე დადებითად მოქმედებს. მეორეს მხრივ, პანამაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო First Quantum Minerals-ის მიერ წარმოების შემცირება ბაზარზე დეფიციტს გამოიწვევს 2024 წელს. Goldman Sachs-ის მიხედვით, წლის განმავლობაში ერთი ტონა სპილენძის ფასი \$10,000-ს მიაღწევს.

## ფეროსილიკონი


2023 წლის დეკემბერში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 3.2%-ით გაიზარდა, ჩინურის კი უცვლელი დარჩა - ერთი ტონა \$1,335. ევროპაში მცირე მატების მიუხედავად, წლის განმავლობაში ფასების ალდგენა თითქმის არ მომხდარა. წლის ჭრილში ევროპული ნელეულის ფასი 30.2%-ით შემცირდა, ჩინურის კი - 18.8%-ით. შემცირებული საერთაშორისო ფასები ქართული ფეროშენადნობების ექსპორტშიც წლიური 67.4%-იანი კლებით აისახა.

გრაფიკი 9: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 10: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 11: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია. ექსპორტირებული სპილენძის ღირებულება წლიურად 49.4%-ით შემცირდა 2023 წლის 11 თვეში \$472 მილიონამდე.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 12: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნობების ექსპორტის ღირებულება წლიურად 67.4%-ით შემცირდა 2023 წლის 11 თვეში, რაც ფასების მკვეთრი კლებით აიხსნება, რამაც მწარმოებლებს უბიძგა შემცირებინათ ექსპორტის მოცულობა.

წყარო: საქსტატი




# ძვირფასი ლითონები

## ოქრო


2023 წლის დეკემბერში ოქროს ფასი თვიურად 1.3%-ით გაიზარდა, ხოლო წლიურად 13.1%-ით, რაც პირველი წლიური მატებაა ბოლო სამი წლის განმავლობაში. ანალიტიკოსების მიხედვით, მიუხედავად პოზიტიური წლისა, ოქროს 2024 წელს კიდევ უფრო მეტი ზრდის პოტენციალი დარჩა, რაც ძირითადად განვითარებულ ეკონომიკებში ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების კლებით იქნება გამოწვეული. მთავარი როლი ამ შემთხვევაში ჯერომ პაუელმა უნდა ითამაშოს - აშშ-ში შემცირებული ინფლაციის ფონზე ერთი წლის პერიოდში საპროცენტო განაკვეთის 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირებაა მოსალოდნელი. დამატებით, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საცალო მომხმარებლის - ინდოეთის მოთხოვნა ოქროზე ჯანსაღად გამოიყურება. გარდა ამისა, აღსანიშნავია ცენტრალური ბანკების გაზრდილი მოთხოვნა (რისი მიზანიც რეზერვების დივერსიფიკაციაა) და შემცირებული მოპოვება, რაც, სავარაუდოდ, 2024 წელს ოქროს ფასზე პოზიტიურად აისახება. აღსანიშნავია, რომ დეკემბრის 20 სავაჭრო სესიიდან ოქროს ფასმა 18-ჯერ \$2,000-ს გადააჭარბა.

გრაფიკი 13: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 14: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

ოქროს ექსპორტის ღირებულება წლიურად 6.6%-ით გაიზარდა 2023 წლის 11 თვეში, რაც ფასების მატებითაა გამოწვეული, რადგან ექსპორტის მოცულობა უცვლელია და 2.46 ტონას შეადგენს.



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, მრჩევლების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**  
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

**ეკონომისტი**  
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი**  
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**სექტორის უფროსი**  
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**სექტორის უფროსი**  
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
გიორგი ცქიტაშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**

**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

**ტელ:** + (995) 32 2401 111

**ელ. ფოსტა:** research@gt.ge